განვითარების დაჩქარება
მდგრადი საჯარო შესყიდვების მეშვეობით

2030 წლის დღის წესრიგის გარდაუვალი მიზნების გათვალისწინებით, მთავრობები და ორგანიზაციები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ცდილობენ იპოვონ ახალი და ინოვაციური გზები მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

სწორედ აღნიშნულმა გამოიწვია მდგრადი საჯარო შესყიდვების მიმართ ინტერესის გაზრდა, რამდენადაც მდგრადი საჯარო შესყიდვები წარმოადგენს ინსტრუმენტს, რათა შესყიდვების პოლიტიკამ და პრაქტიკამ წარმოქმნას სარგებელი არა მხოლოდ შესყიდვების პროცესში ჩართული ორგანიზაციებისთვის, არამედ გარემოსთვის, საზოგადოებისა და ეკონომიკისთვის.

Cowater Sweden-სა და Crown Agents-ის ერთობლივი კონსორციუმისა და თანამშრომლობის შედეგად, შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (Sida) პასუხობს ზემოაღნიშნულ მოთხოვნას — მდგრადი საჯარო შესყიდვების შესახებ გლობალური შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამის დაფინანსებით, პარტნიორ ქვეყნებში მდგრადი საჯარო შესყიდვების პრაქტიკის გაზრდის მხარდასაჭერად.

პროგრამა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს იმუშაონ ერთობლივად, მდგრადი შესყიდვების პრაქტიკის გლობალურ დონეზე წასახალისებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ მიერ მიღებული შესყიდვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უფრო მეტად ითვალისწინებდეს კავშირს რესურსეფექტურობასთან, კლიმატის ცვლილებასთან, სოციალურ პასუხისმგებლობასთან და ეკონომიკური მდგარდობასთან.

მდგრადი საჯარო შესყიდვები

მდგრადი საჯარო შესყიდვები მხარს უჭერს იმგვარ პრაქტიკებს, რომლებიც მდგრადია და შეესაბამება ეროვნულ პოლიტიკასა და პრიორიტეტებს. ეს არის პროცესი, რომლითაც საჯარო უწყებები, საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვისას ცდილობენ მიაღწიონ სათანადო ბალანსს მდგრადი განვითარების ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით საყრდენებს შორის. მდგრადი საჯარო შესყიდვები საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს შეისყიდონ თავიანთი საჭიროებების შესაბამისად და ამავე დროს გამოიყენონ შესყიდვების პროცესი თავიანთი სტრატეგიული განვითარების გეგმების მისაღწევად.



ჩვენი მდგრადი საჯარო შესყიდვების გამოსავალი

Sida-ს გლობალური შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა მხარს უჭერს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, პარტნიორ ქვეყნებში, მდგრადი საჯარო შესყიდვების პრაქტიკების გაზრდას.

პროგრამის მიზანია მდგრადი საჯარო შესყიდვების ინსტრუმენტის გამოყენება, მდგრადი განვითარებისა და 2030 წლის დღის წესრიგის მიზნების მისაღწევად. პროგრამა ხორციელდება საჯარო უწყებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით, რომელთაც სურთ მდგრადი საჯარო შესყიდვების წასახალისებლად ინიციატივების განხორციელება. ამგვარი ინიციატივებია მდგრადი საჯარო შესყიდვების პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები, სტანდარტები ან სხვა ინსტრუმენტები, მდგრადი საჯარო შესყიდვების განხორციელების პილოტირება მიმდინარე შესყიდვების პროცესებში, ასევე, მდგრადი საჯარო შესყიდვების პროფესიული განვითარება. პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციების მხარდაჭერა განხორციელდება პროფესიული ტრენინგებით, სწავლების პროცესში დახმარებით, ტენიკური მხარდაჭერისა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ერთმანეთისთვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით.



პარტნიორობა წარმატებისათვის

ჩვენ გვსურს ვისაუბროთ პროფესიონალებთან, რომლებიც მუშაობენ საჯარო შესყიდვების სფეროში და დაინტერესებულნი არიან მდგრადი საჯარო შესყიდვების ინიციატივების გაძლიერებით. რაც არ უნდა იყოს თქვენი ორგანიზაციის მიზანი, Sida-ს მდგრადი საჯარო შესყიდვების პროგრამა მხარს დაგიჭერთ:

- შესყიდვებისა და სხვა პერსონალის უნარების განვითარებასა და გაძლიერებაში
- ბიუჯეტის უფრო ეფექტური და გრძელვადიანი გამოყენების უზრუნველყოფაში
- ცვლილებების მართვისა და ლიდერობის უნარების განვითარებასა და გაძლიერებაში
- საჯარო ფინანსების ხარჯვისას გარემოზე ზემოქმედების მინიმიზაციაში
- საჯარო ფინანსების ხარჯვისას ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მაქსიმიზაციაში
- მდგრად პროდუქტებთან დაკავშირებული კერძო სექტორის განვითარებასა და ინოვაციების წახალისებაში
- თქვენი ორგანიზაციის მდგრადი განვითარებისადმი სწრაფვის დემონსტრირებაში

საკონტაქტო ინფორმაცია

ჩვენ გვსურს ვიმუშაოთ თქვენთან ერთად, მდგრადი შესყიდვებით თქვენი განვითარების მიზნების მისაღწევად. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მდგრადი საჯარო შესყიდვების მუმდივად მზარდ გლობალურ საზოგადოებაში.

თუ დაინტერესებული ხართ პროგრამაში მონაწილეობით ან გსურთ დამატებითი ინფორმაციის მიღება, ქვემოთ მოცემულია საკონტაქტო პირის შესახებ ინფორმაცია:

ელინორ ნიპარდი
პროგრამის მენეჯერი
ელ.ფოსტა: elinor.nippard@crownagents.co.uk
მობ: +44 (0)7825 025692

ჩარჩოშეთანხმების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, მოგვწერეთ შემდეგ მისამართზე:
frameworks.nordics@cowater.com